

## How Oriental is the “Orient” in “Amirandarejaniani“?

(Oriental Realia and Stereotypes)

**Authors:** Darejan Gardavadze, Tea Shurgaia

“Amirandarejaniani“ is a literary monument of the classical epoch, dated back to the 11th -12th cc. Mose Khoneli is considered its author. For over a century, this literary monument has been analyzed by Georgian and foreign researchers, scholars in Kartvelology and Iranian studies. Contradictory opinions have been expressed, and the most important issues have not been solved so far (origin – Persian or Georgian; genre – chivalrous novel or fairy-tale, the relation of this literary monument to the national epic “Amiraniani” and Shota Rustaveli’s “The Knight in the Panther’s Skin“; structural peculiarities, time of creation etc.). The text is still subject to diverse interpretations and assumptions. By means of analysis of the oriental realia of “Amirandarejaniani“ and its genre stereotypes, the paper aims to define the scope of “oriental nature” of the book. The authors focus on certain details that have been neglected by previous researchers or interpreted in a different way. Talking of the oriental context, we argue that “Amirandarejaniani“ was obviously influenced by the laws of oral epic composition (the law of the beginning and the end, repetitions, numbers, schematization and so on). Special mention should be made of the “oriental” topos of the book and the oriental influence on the medieval Georgian and Persian written monuments and oral stories.

The paper also focuses on the similarity between the characteristic features of knights (“Chabuki” - “Fellows”) in “Amirandarejaniani“ and the principles of education in Sasanian Iran.

The rules and rituals of battles and feasting described in “Amirandarejaniani“ (cf. “bazzm o razm” in “Shāhnāmeḥ”) are analyzed with regard to the Persian and, in general, oriental data. In this context, attention is paid to the role and function of poet-musicians called “Mgosani” (Middle Persian *gusān*). The text of “Amirandarejaniani“ provides noteworthy information regarding the art of “Mgosani” poets, which “*formed an inalienable part of the musical-theatrical cultures of old and medieval Iran, Georgia and Armenia*“ (K. Kutsia).

რამდენად „აღმოსავლურია“ აღმოსავლეთი „ამირანდარეჯანიანში“?

(აღმოსავლური რეალიები და სტერეოტიპები)

**ავტორები:** დარეჯან გარდავაძე, თეა შურღია

კლასიკური ხანის ძეგლი „ამირანდარეჯანიანი“, რომლის ავტორადაც მოსე ხონელი მიიჩნევა, საუკუნეზე მეტია, რაც ქართველ და უცხოელ მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ძეგლზე იმუშავეს ქართველოლოგებმაც და ირანისტებმაც. გამოთქმულია რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა კარდინალური საკითხი (სადაურობა - სპარსული თუ ორიგინალური; ჟანრობრივი კუთვნილება - სარაინდო რომანი თუ ზღაპარი, მისი მიმართება ხალხურ „ამირანიანთან“ ან „ვეფხისტყაოსანთან“; სტრუქტურის თავისებურება, შექმნის დრო და სხვ.) საბოლოოდ და ცალსახად გადაწყვეტილი არ ჩანს. ტექსტი კვლავაც იძლევა ინტერპრეტაციისა და ვარაუდების გამოთქმის საშუალებას.

მოხსენებაში მოცემულია მცდელობა, თხზულების აღმოსავლური რეალიებისა და ჟანრული სტერეოტიპების ანალიზის გზით, დადგინდეს „ამირანდარეჯანიანის“ „აღმოსავლურობის მასშტაბები“, ყურადღება გამახვილდეს ზოგიერთ დეტალზე, რომელიც წინამორბედ მკვლევრებს მხედველობიდან გამორჩათ, მნიშვნელოვნად არ მიიჩნიეს ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს მათ. ამავე, აღმოსავლურ, კონტექსტში „ამირანდარეჯანიანის“ კომპოზიციაში აღნიშნულია ზეპირსიტყვიერების ეპიკური კანონების გავლენის კვალი (დასაწყისის და დასასრულის კანონი, განმეორებები, რიცხვები, სქემატიზაცია და სხვ.).

ცალკე საკითხად განიხილება თხზულების „აღმოსავლური ტოპოსი“ და ასეთი „აღმოსავლეთის“ ტრადიციულობა ქართულ, სპარსულ და, ზოგადად, აღმოსავლურ შუასაუკუნოვან ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში.

საგანგებოდ მახვილდება ყურადღება „ამირანდარეჯანიანის“ რაინდების („ჭაბუკთა“) თვისებების სასაზღვრო ირანის აღზრდის ინსტიტუტის პრინციპებთან მსგავსებაზე.

„ამირანდარეჯანიანში“ აღწერილი ბრძოლისა და ნადიმის (შდრ. „შაჰნამეს“ *bazm o razm*) წესები და რიტუალები განხილულია სპარსულ და, ზოგადად, აღმოსავლურ მონაცემებთან მიმართებაში. ამ კონტექსტში ყურადღება ექცევა „მგოსანთა“ (საშ. სპარს. *gusān*) როლსა და დანიშნულებას. „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი ამდღერებს ინფორმაციას გუსან-

მგოსანთა ხელოვნების შესახებ, რომელიც „წარმოადგენდა ძველი და შუა საუკუნეების ირანის, საქართველოსა და სომხეთის მუსიკალურ-თეატრალური კულტურების ორგანულ ნაწილს“ (კ. კუცია).